ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7243616

ნომერი: AR11054294

თარიღი : 22.08.2024

გაცემის თარიღი : 07.10.2024

გაცნობის თარიღი : 07.10.2024

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კვალი , N 13; ქალაქი თბილისი , ქუჩა კვალი , N 13; ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N31-ის მიმდებარედ , ნაკვეთი 12/016; ქალაქი თბილისი , რუსთაველის გამზირი/კვალის ქუჩა N 31/13; ქალაქი თბილისი , ქუჩა თაბუკაშვილი , N 51 , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ქევანიშვილი პ/ნ 60002009962
- ქ. თბილისი წყალტუბოს ქ. I კორპუსი ბ.#34

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2024 წლის 22 აგვისტოს განცხადება.

პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი საპროექტო გადაწყვეტით ხდება ასევე ფილის გაზრდა და მიწისქვეშა რეზერვურის მოწყონა, რაც არ წარმოადგენს I კლასის სამუშაოებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნომენკლატურით სამსახური მოკლებულია საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას. სამსახური საკითხი განხილვას დაუბრუნდება საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამის ნომენკლატურაში/ნომენკლტურებში ატვირთვის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.